ევროკავშირისკენ გზა: უპირატესობები და წინსვლის შესაძლებლობა

2025

ევროკავშირისკენ გზა: უპირატესობები და წინსვლის შესაძლებლობა

პუბლიკაციაში გამოყენებულია ევროკავშირის ინსტიტუტების ინტერნეტ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, ევროსტატის მონაცემები, საჯარო, ღია და სანდო ოფიციალური წყაროები.

პუბლიკაცია შექმნილია დიდი ბრიტანეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მისი შინაარსი ავტორისეულია და შესაძლოა, ის არ გამოხატავდეს დიდი ბრიტანეთისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ბროშურის ავტორი და პროექტის ექსპერტი: ეკატერინე ქარდავა, *სამართლის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი და ერასმუს+ ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე, ევროკავშირის სამეცნიერო ქმედებების პროექტების (EU COST Actions) შემფასებელი; EU CA22124 პროექტის მმართველი კომიტეტის წევრი საქართველოდან; შრომის სამართლისა და მენეჯმენტის სფეროში კონსულტანტი; 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (წიგნის, სტატიის, სახელმძღვანელოს, კვლევის) ავტორი.*

პროექტის კოორდინატორი: გიორგი კაკუბავა

პროექტის ავტორი და განმახორციელებელი:

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი

© უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი
© ავტორი, ეკატერინე ქარდავა
© გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP

თბილისი, 2025 წ.

სარჩევი

1. ევროკავშირის მთავარი მიღწევები 3

რა არის ევროკავშირი? 3

მშვიდობა 3

შიდა ბაზარი 4

როგორია ევროკავშირში თავისუფლების საერთო სივრცე და ადამიანის უფლებები? 5

განათლება 7

კულტურა 7

სურსათის უვნებლობა და ხარისხი 8

საერთაშორისო დიპლომატია, უსაფრთხოება და ჰუმანიტარული დახმარება 8

ევროკავშირის ბიუჯეტი 9

ტრანსპორტის პოლიტიკა 10

როგორია სოფლის მეურნეობა და რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირში ? 10

როგორია მოქალაქეთა კმაყოფილების ინდექსი ევროკავშირში ? 11

2. ევროკავშირში გაწევრების სიკეთეები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის 14

ხორვატიის მაგალითი 18

3. როგორია ევროკავშირის საბანკო-სასესხო პოლიტიკა 19

4. რას ნიშნავს კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის? 21

1 ევროკავშირის მთავარი მიღწევები

რა არის ევროკავშირი?

ევროკავშირი უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც **მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში.**

ევროკავშირი ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, აგრეთვე, - ადამიანის უფლებების პატივისცემა. ეს ფასეულობები აერთიანებს ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანას, რომელთაც ახასიათებთ პლურალიზმი, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და თანასწორობა მის 446 მილიონ მოსახლესთან მიმართებაში. სწორედ ეს არის ის იდეა, რაც ევროკავშირში შემავალი 27 სახელმწიფოთა მოქალაქეებს აერთიანებს.

მშვიდობა

ევროკავშირმა (ევროგაერთიანებამ) უზრუნველყო 73-წლიანი უწყვეტი მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა (1951 წლიდან დღემდე). 2012 წელს ევროკავშირს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გაერთიანების ფუნდამენტური ფასეულობა იყო და არის მშვიდობის შენარჩუნება და ქმედება ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. ამ ერთობაში **ეროვნული** და **საერთო ევროპული** მიზნები თანხვედრაშია, რამაც განაპირობა თავისუფალი შიდა ბაზრის, მართლმსაჯულებისა და კეთილდღეობის საყოველთაო სივრცის ფუნქციონირება და მდგრადობა, სხვადასხვა ერების მშვიდობიანი თანაარსებობა და სოლიდარული ცხოვრება.

მშვიდობას უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების გააზრებული გადაწყვეტილება, ევროკავშირში გაწევრებით ჩაერთონ ერთმანეთისთვის სასიკეთო ქმედებებში, საერთო ევროპული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაძლიერების პროცესში. თითოეულს გათვითცნობიერებული აქვს, რომ მშვიდობისთვის აუცილებელია ეროვნულ სუვერენიტეტთან ერთად, საერთო ევროპული სუვერენიტეტის მშენებლობა. წარსული ომებისა და კონფლიქტების ისტორიული მეხსიერება მათ მომართავს ერთად ყოფნისა და ერთმანეთის დაცვისკენ. **წევრი ქვეყნების ასეთი გონიერი არჩევანი დაცულია ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებებში.** ევროკავშირი პროპორციულობისა და სუბსიდიარობის პრინციპების პატივისცემით იღებს კანონებს და გადაწყვეტილებებს, რაც გულისხმობს ევროკავშირის პოლიტიკაში 27-ვე სახელმწიფოსა და ხალხის საერთო ინტერესების გათვალისწინებას.

შიდა ბაზარი

შიდა ბაზარი ევროკავშირის მთავარი ეკონომიკური ძრავა და ყველაზე დიდი ინვესტიციაა. ეს საშუალებას აძლევს ადამიანს გადაადგილდეს თავისუფლად ევროკავშირის ფარგლებში (ევროპის კონტინენტის უმეტეს ნაწილზე). ადამიანებთან ერთად კი უნიკალური შესაძლებლობა არსებობს **საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფლად გადაადგილებისთვის.**

ევრომ (რომელსაც ევროკავშირის 340 მილიონზე მეტი მოქალაქე იყენებს) აღმოფხვრა ვალუტის რყევებისა და გაცვლითი ხარჯების რისკი, გააძლიერა შიდა ბაზარი ევროკავშირის ქვეყნების, ბიზნესისა და მოქალაქეების სასარგებლოდ.

ევროკავშირის შიდა ბაზარზე, 27 ქვეყნის მასშტაბით, **საქონლის გადაადგილება** ხორციელდება უნიფიცირებული **ერთიანი საბაჟო წესრიგის** ფარგლებში. ამ წესრიგმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და დაძრა ვაჭრობის გზები ევროკავშირისკენ. **ევროკავშირის შიდა ბაზარი იქცა ცენტრალურ ადგილად,** სადაც გაცვლით ურთიერთობებს ამყარებს თითქმის ყველა სახელმწიფო და წარმატებული ბიზნესი.

ევროკავშირი პირველ ადგილზეა, როდესაც საქმე ეხება გლობალურ ვაჭრობას. **სავაჭრო რეჟიმის ღიაობა ნიშნავს, რომ ევროკავშირი არის ყველაზე დიდი მოთამაშე მსოფლიო სავაჭრო სცენაზე.** ევროკავშირი, წარმოებული საქონლისა და სერვისების, მსოფლიოში უდიდესი ექსპორტიორია და, იმავდროულად, თავად არის ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარი **80-მდე ქვეყნისთვის.**

ევროკავშირი შიდა ბაზარზე იცავს თანასწორობისა და კონკურენციის პოლიტიკას. არც სახელმწიფოს და არც ბიზნესს არ აქვს უფლება, პირადი გამორჩენის მიზნით შეზღუდოს ბიზნესის თავისუფლება. **ევროკავშირში 446 მილიონი მომხმარებელია,** რომელსაც, ევროკავშირის შიდა ბაზარზე სამართლიანი და არადისკრიმინაციული კონკურენციის წესების გამო, აქვს წვდომა ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებაზე. **მომხმარებელი კმაყოფილია ხელმისაწვდომი ფასებით, დაცულია უვნებელი სურსათითა და უსაფრთხო პროდუქტით.**

როგორია ევროკავშირში თავისუფლების საერთო სივრცე და ადამიანის უფლებები?

ევროკავშირის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისწავლოს, იმუშაოს ან გავიდეს პენსიაზე ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში. დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფისა და საგადასახადო მიზნებისთვის, ევროკავშირის ყველა ქვეყანა ვალდებულია ზუსტად ისე მოექცეს ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეს, როგორც საკუთარ მოქალაქეებს.

ევროკავშირის დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა უფლებების დაცვას. ევროკავშირის ნებისმიერ სახელმწიფოში მოქმედებს ევროკავშირის მიერ დადგენილი დასაქმებულის დაცვის **მინიმალური სტანდარტები** (*სამუშაო კვირის ხანგრძლივობის*

მაქსიმუმი, შვებულების ვადა, დედის დეკრეტული შვებულების ანაზღაურების სქემა, გამოსაცდელი ვადის სტანდარტი, ბავშვის მოვლის (მშობლის) და მამის შვებულებების ხანგრძლივობა, მინიმალური ანაზღაურების სქემა და სხვა). რა თქმა უნდა, თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება დაადგინოს იმაზე მაღალი სტანდარტი, ვიდრე ეს ევროკავშირმა განსაზღვრა, **მაგრამ სტანდარტის დაწევის უფლება არავის აქვს.** ეს ქმნის საერთო კეთილდღეობის სივრცეს ევროკავშირში.

ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ ანაზღაურების გარეშე სტაჟირება ახალგაზრდების მიმართ უსამართლო ქმედება და თანამედროვე მონობაა.

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიამ დაამკვიდრა ახალი უფლება *პროფესიული და ოჯახური ცხოვრების ბალანსირებისა* და *ურთიერთთავსებადობისა*.

ევროკავშირში საკანონმდებლო დონეზე (2003/86 დირექტივით) **დაცულია ოჯახის ერთიანობის პრინციპი. თუ მეუღლეთა შორის ერთ-ერთი მუშაობს ევროკავშირში, ოჯახის დანარჩენ წევრებსაც შეეძლოთ მასთან ყოფნა.** ევროკავშირში ასე მიაჩნიათ, რომ ოჯახის წევრთა გაერთიანება აუცილებელი გზაა ოჯახური ცხოვრებისთვის; ეს ხელს უწყობს სოციოკულტურული სტაბილურობის შექმნას, ემსახურება ეკონომიკურ და სოციალურ ერთობლიობასა და საზოგადოების ფუნდამენტურ მიზანს.

ევროკავშირმა დააწესა ახალნამშობიარები **დედის დეკრეტული შვებულების** სავალდებულო პერიოდი და მისი ადეკვატური ანაზღაურებისსქემა, **რათა დედას არ მოუწიოს ჩვილის დატოვება და ძუძუთი კვების შეწყვეტა ნაადრევად.**[1]

ევროკავშირში გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. 15 ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობამ გადააჭარბა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაფიქსირდა ესპანეთში (84 წელი), იტალიასა (83.8 წელი) და მალტაში (83.6 წელი); ხოლო ყველაზე დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაფიქსირდა ბულგარეთში (75,8 წელი), ლატვიასა (75,9 წელი) და რუმინეთში (76,6 წელი).

[1] *ქარდავა ე.* საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის შრომის სამართალთან: გადაწყვეტილებები და სირთულეები დედის დეკრეტული შვებულების ნაწილში, Jean Monnet Excellence, CSG, 2024, გვ. 23-25, https://cu.edu.ge/files/Docs/2024/grant%20project/europlants/Publikacia_P2%20(1).pdf

განათლება

განათლების პოლიტიკა ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს პრეროგატივაა. ევროკავშირი ამ სფეროში მოქმედებს, როგორც მხარდამჭერი და განმავითარებელი.

ევროკავშირი აფინანსებს არამხოლოდ წევრი ქვეყნების, არამედ პარტნიორი და სამეზობლო ქვეყნების უნივერსიტეტებს, კვლევით დაწესებულებებს და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს სამეცნიერო, სასწავლო და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში (Erasmus+, EU Cost Actions, Horizon Europe, European Solidarity Corps და სხვა).

კულტურა

კულტურის სფერო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული კომპეტენციის სფეროა. ევროკავშირს არ აქვს უფლება მიიღოს კანონები კულტურის სფეროში. პირიქით, ევროკავშირია ვალდებული მხარი დაუჭიროს წევრი ქვეყნების საჭიროებების გადაწყვეტას და დააფინანსოს დახმარების პროგრამები. ამდენად, ევროკავშირის უფლებამოსილებებშია:

- *კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არამხოლოდ ევროკავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბით;*
- *კულტურული და შემოქმედებითი სექტორის მხარდაჭერა;*
- *ევროპული მემკვიდრეობისა და მისი ეტიკეტების დაცვა[2];*
- *ციფრული კულტურის განვითარება[3];*
- *სპორტის მხარდაჭერა.*

[2] ევროპული მემკვიდრეობის ძეგლები დღევანდელი ევროპის შექმნის ეტაპებია. ეს ძეგლები და მათი ადგილები სიმბოლოა ევროპული იდეალების, ღირებულებების, ისტორიისა და ინტეგრაციისა. 2013 წლიდან დაიწყო ასეთი ადგილებისა და ძეგლების შერჩევა და მათზე ევროპული მემკვიდრეობის ნიშნის აღნიშვნა. იხ. ჩამონათვალი აქ: https://culture.ec.europa.eu/cultural-heritage/initiatives-and-success-stories/european-heritage-label

[3] ევროკომისია ხელს უწყობს მედიის პოლიტიკის თანმიმდევრულ მიდგომას, რომელიც მოიცავს კანონმდებლობას მედიასერვისებისა და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების შესახებ. ევროკომისია მუშაობს კანონმდებლობაზე, რომელიც მხარს უჭერს შინაარსის გაზიარების შესაძლებლობას ევროკავშირის მასშტაბით. ის უზრუნველყოფს საავტორო უფლებების კუთხით სწორი მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობას, რათა ყველა მოქალაქემ შეძლოს სრულად ისარგებლოს ჭეშმარიტად დაკავშირებული ციფრული ევროპის მიერ შემოთავაზებული დიდი შესაძლებლობებით. ევროპული კულტურული მემკვიდრეობის კოლექციების გაციფრულება ევროპის ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებსა და აუდიოვიზუალურ არქივებში ხდის მას ხელმისაწვდომს ყველასთვის.

სურსათის უვნებლობა და ხარისხი

სურსათის უვნებლობა ევროკავშირში 4 მიმართულებად იყოფა:

1. მცენარეთა ჯანმრთელობა;
2. ცხოველთა ჯანმრთელობა;
3. საკვების ჰიგიენა;
4. დამაბინძურებლები და ნარჩენები.

ეს ქმნის ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გარემოს.

იმის გამო, რომ ევროკავშირის ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ უვნებლობის საერთო წესების ჩამოყალიბებაში, ევროკავშირში წარმოებული საკვები და გარემო აკმაყოფილებს მსოფლიოს უმაღლესი ხარისხის სტანდარტებს. ანტიბიოტიკების დახმარებით ზრდის ხელშემწყობი საშუალებები ევროკავშირში 2006 წლიდან არ გამოიყენება; ევროკავშირის ხარისხის სქემით რეგისტრირებულია 3500 პროდუქტი; პესტიციდების (PPPs) გამოყენების საკითხი რეგულირებულია ევროკავშირის სპეციალური კანონებით; კონტროლდება წყლის, ჰაერის ხარისხი და ა.შ.

საერთაშორისო დიპლომატია, უსაფრთხოება და ჰუმანიტარული დახმარება

ევროკავშირი და წევრი სახელმწიფოები ერთობლივად წარმოადგენენ განვითარების უმსხვილეს დონორს მსოფლიოში. ევროკავშირის ინსტიტუტები და ეროვნული მთავრობები ერთობლივად მუშაობენ კარგი მმართველობის ხელშეწყობის, შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ბუნებრივი რესურსების შესანარჩუნებლად. ევროკავშირი დახმარებას უწევს ქვეყნებსა და მოსახლეობას, როგორც ევროპის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. დიდი კატასტროფების ან ჰუმანიტარული საგანგებო სიტუაციების დროს, ევროკავშირი დახმარების წამყვანი სუბიექტია მსოფლიოში. **ყოველწლიურად ევროკავშირი 80-ზე მეტ ქვეყანაში კატასტროფებისა და კონფლიქტების 120 მილიონზე მეტ მსხვერპლს აწვდის საკვებს, თავშესაფარს, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებებსა და სუფთა წყალს.**

ევროკავშირის ბიუჯეტი

ევროკავშირი აფინანსებს დიდ ინფრასტრუქტურულ და კვლევით პროექტებს; **ეხმარება წევრ ქვეყნებსა და მის მიღმა სამყაროს გამოწვევებზე რეაგირებაში**.

ევროკავშირის ბიუჯეტი ავსებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ ბიუჯეტებს; **ევროკავშირის ბიუჯეტი ეფუძნება სოლიდარობის პრინციპს** და, ამიტომაც, ევროკავშირს შეუძლია მხარი დაუჭიროს ნაკლებად მდიდარ წევრ ქვეყნებს ეკონომიკურ განვითარებაში. სოლიდარობა ასევე ნიშნავს მეზობლების/მესამე ქვეყნების მხარდაჭერას და მათი მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაში დახმარებას.**ევროკავშირის 2021-2027 წლების ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 2 ტრილიონ ევროს. იგი, ძირითადად, იყოფა ხარჯების 7 სფეროდ:**

- შიდა ბაზარი და ინოვაციები;
- ერთიანობა, მდგრადობა და ღირებულებები;
- ბუნებრივი რესურსები და გარემო;
- მიგრაცია და საზღვრის მართვა;
- უსაფრთხოება და თავდაცვა;
- სამეზობლო და მსოფლიო;
- ევროპული საჯარო მმართველობა.

ევროკავშირის ბიუჯეტის დიდი ნაწილი (დაახლოებით 50%) მიემართება სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ფონდს, თევზჭერას, სოფლის განვითარებას, რეგიონულ განვითარებას.

ტრანსპორტის პოლიტიკა

ტრანსპორტი არის ეკონომიკაში მთავარი კონტრიბუტორი. ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულია 11 მილიონზე მეტი ადამიანი.

ტრანსპორტი არის ევროპული ინტეგრაციის ქვაკუთხედი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პირების, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებისთვის.

ტრანსპორტის პოლიტიკა ორიენტირებულია მწვანე, მოქნილ და სწრაფ სტრატეგიებზე. სარკინიგზო სექტორისთვის სტრატეგია ითვალისწინებს 2030 წლისთვის ევროკავშირში ჩქაროსნული **სარკინიგზო** გადაადგილების გაორმაგებას.

როგორია სოფლის მეურნეობა და რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირში ?

საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა (CAP) მოიცავს **სურსათის წარმოების, გარემოს დაცვისა და სოფლის განვითარების საკითხებს**. ევროკავშირის ამოცანებშია სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, ბუნებრივი რესურსებისა და კლიმატის მოქმედების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა, სოფლის ეკონომიკისა და თემების დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების მიღწევა **(მათ შორის, დასაქმების ადგილების შექმნა და შენარჩუნება).**

„ჭკვიანი სოფლის“ (Smart Village) კონცეფცია, რომელიც თავდაპირველად 2017 წელს დაიწყო, არის ევროკავშირის მნიშვნელოვანი ტერიტორიული ინსტრუმენტი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციისთვის.

როგორია მოქალაქეთა კმაყოფილების ინდექსი ევროკავშირში ?

ყოველწლიურად მიმდინარეობს ადამიანთა კმაყოფილებისა და ბედნიერების კვლევა მსოფლიო მასშტაბით. ასეთი კვლევა ეფუძნება ძირითად 6 კრიტერიუმს:

1. *შემოსავალი;*
2. *ჯანსაღი ცხოვრების ხანგრძლივობა;*
3. *უბედურების დროს დასაყრდენის, დამხმარეს ყოლა;*
4. *სიკეთის გარემო;*
5. *თავისუფლება;*
6. *ნდობა (იზომება მთავრობასა და ბიზნესში კორუფციის არარსებობით).*

ცხოვრების ევოლუციის/განვითარების ინდექსი 143 ქვეყნის მასშტაბით ასე გამოიყურება:



2024 წლის მონაცემებით:

143 ქვეყანას შორის, ცხოვრების ევოლუციის/განვითარების ინდექსში საწყის პოზიციებს, ძირითადად, იკავებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, მათ შორის ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, რომლებიც დღეს ევროკავშირის წევრნი არიან.

საქართველოს 143 ქვეყანას შორის კმაყოფილებისა და ბედნიერების ინდექსში უჭირავს 91-ე ადგილი.

ხანდაზმულთა ასაკის მოსახლეობაში ბედნიერების ინდექსი 143 ქვეყნის მასშტაბით ასე გამოიყურება:



საქართველოს 143 ქვეყანას შორის ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ბედნიერების ინდექსში უჭირავს 91-ე ადგილი.

2006-2010-დან - 2021-2023-მდე, 134 ქვეყანას შორის, ბედნიერების ინდექსის ზრდის მონაცემები შემდეგია: (იხ. გვ.13)

მწვანედ მონიშნულია ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები (ყოფილი საბჭოთა ქვეყნები); ლურჯად მონიშნულია მომავალი გაფართოების 10 ქვეყანა.

134 ქვეყანას შორის, ბედნიერების ინდექსის ზრდის მონაცემები

სერბეთი	1
ბულგარეთი	2
ლატვია	3
რუმინეთი	5
საქართველო	7
კოსოვო	12
ესტონეთი	14
უნგრეთი	15
ბოსნია და ჰერცოგოვინა	16
ჩრდილოეთ მაკედონია	17
სლოვენია	23
პორტუგალია	26
პოლონეთი	29
სლოვაკეთი	32
მონტენეგრო	36
მოლდოვა	42
ჩეხეთი	46
მალტა	52
ხორვატია	56
ალბანეთი	66
ფინეთი	67
გერმანია	70
ლუქსემბურგი	73
შვედეთი	82
საფრანგეთი	91
ნიდერლანდები	93
საბერძნეთი	94
უკრაინა	96
ბელგია	97
იტალია	99
თურქეთი	100
დანია	101
ავსტრია	104
ესპანეთი	106
კვიპროსი	109
ირლანდია	115

2 ევროკავშირში გაწევრების სიკეთეები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის

ოცი წლის წინ, 2004 წლის 1 მაისს, რვა ცენტრალური ევროპის ქვეყანა (CEE[4]) შეუერთდა ევროკავშირს (ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია). პოლონეთის ეკონომიკური ინსტიტუტის ანალიზის მიხედვით, რეგიონის რვა ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 27 პროცენტით მეტია, ვიდრე ეს იქნებოდა მათი გაუწევრიანებლობის შემთხვევაში.

CEE ქვეყნების წევრობის 20 წელი ამტკიცებს, რომ ყველაზე დიდი სარგებელი, პირველ რიგში, შიდა ბაზარს მოჰყვა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება (21-ჯერ გაზრდა) და გლობალური მიწოდების ჯაჭვებში ინტეგრაცია. მაგალითად, ICT (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების) სერვისებში გამომუშავებული დამატებული ღირებულება გაორმაგდა 2008-2021 წლებში.

ეკონომიკური სარგებლის გარდა, ევროკავშირის გაფართოებამ ახალი წევრების **სოციალური წარმატებაც** მოიტანა. რეგიონის რვავე ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს მოიცავს სიცოცხლის ხანგრძლივობას და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონეს. მაგალითად, ამჟამად **სლოვენიას აქვს რეგიონის ყველაზე მაღალი ადამიანური განვითარების ინდექსი** (მსოფლიოში 23-ე).

გაუმჯობესდა სოფლად ცხოვრების დონეც. გარდა ამისა, რვა წევრი ქვეყნიდან ხუთში სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების წილი დაეცა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ, ყველგან შემცირდა კორუფცია (გამონაკლისი იყო უნგრეთი და სლოვენია). შეიცვალა გარემოსდაცვითი სტანდარტები, ენერგიის წარმოების სტრუქტურა და რეგიონის ეკონომიკის ნახშირბადის ინტენსივობა. **გაწევრებამ დააჩქარა განახლებადი ენერგიის განვითარება რვავე ქვეყანაში**. ენერგეტიკის, ტრანსპორტის და გათბობის სექტორების ტრანსფორმაციამ გააუმჯობესა ჰაერის ხარისხი.

[4] CEE ნიშნავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას: პირველი 8 პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელიც მიუერთდა ევროკავშირს - ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, პოლონეთი, უნგრეთი. CEE-ში შედის, შემდგომი გაფართოების ორი ქვეყანა - რუმინეთი და ბულგარეთი. CEE ში შედის ბოლო გაფართოების ქვეყანა - ხორვატია.

2005 წლიდან 2021 წლამდე, ევროკავშირის მასშტაბით ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ნაადრევი სიკვდილიანობის რიცხვი 75%-ით შემცირდა.

ქვემოთ წარმოდგენილია ევროკავშირის 11 ახალი წევრი ქვეყნების მონაცემები. ამ მონაცემთა სინქრონიზაცია და შედარება იძლევა სურათს არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. **მონაცემები მოწმობს, რომ ანაზღაურების სავალდებულო მინიმუმსა და საპენსიო ოდენობას შორის განსხვავება მცირეა.**

სავალდებულო მინიმალური ანაზღაურება და პენსიის ოდენობა ქვეყნების მიხედვით (გამოსახული ევროში)



უმუშევრობა ქვეყნების მიხედვით (გამოსახული %)



ქვეყანა	უმუშევრობა
პოლონეთი	2.8%
ჩეხეთი	2.6%
სლოვენია	3.7%
რუმინეთი	5.6%
ესტონეთი	6.4%
უნგრეთი	4.1%
ლიეტუვა	6.9%
ხორვატია	6.1%
ლატვია	6.5%
სლოვაკეთი	5.8%
ბულგარეთი	4.3%

მშპ ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნების მიხედვით (გამოსახული ევროში)



ევროკავშირის მიზანია ევროკავშირის მოქალაქისთვის სამომხმარებლო ფასები იყოს ხელმისაწვდომი. რა თქმა უნდა, სამომხმარებლო ფასებისა და მინიმალური შემოსავალის/ანაზღაურების ინდექსი დაბალანსებულია. მაგალითად, **ერთი ლიტრი რძის ღირებულება.**

ერთი ლიტრი რძის ღირებულება (გამოსახული ევროში)



ხორვატიის მაგალითი

ხორვატია არის მეშვიდე გაფართოების ბოლო ქვეყანა, რომელიც ევროკავშირში გაწევრდა 2013 წელს.
ხორვატიამ წევრობაზე განაცხადი წარადგინა 2003 წლის 21 თებერვალს.

- ევროკომისიამ განაცხადი დადებითად შეაფასა 2004 წლის აპრილში (განაცხადის წარდგენიდან ერთ წელსა და ორ თვეში)[5].
- გაწევრების მოლაპარაკება, საბოლოოდ დაიწყო 2005 წლის 3 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც ჰაგის მთავარმა პროკურორმა დაადასტურა ხორვატიის სრული თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალთან.
- გაწევრებისთვის მომზადების პროცესმა გასტანა ხუთი წელი და ცხრა თვე.
- მოლაპარაკების ბოლო თავები დაიხურა 2011 წლის 30 ივნისს.
- გაწევრების შეთანხმების ხელმოწერისა და წევრ ქვეყნებში რატიფიცირების შემდეგ, **ხორვატია ევროკავშირს შეუერთდა 2013 წლის 1 ივლისს.**
- **შენგენის ზონაში შევიდა 2023 წელს.**
- **ევროზონას მიუერთდა 2023 წელს.**

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ევროკავშირში გაწევრების ათი წლის შემდეგ, ხორვატიაში ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 50%-დან 75%-მდე, რითაც 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდა; გაორმაგდა ექსპორტი; ხოლო უმუშევრობის დონე 2013 წლის 17,25%-დან 6,1%-მდე შემცირდა.

- ხორვატიის მოსახლეობის რაოდენობა - 3 861 976 (2024 წლის მონაცემებით).
- 2023 წლის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებთან ხორვატიის ექსპორტის წილია 67.3%, დანარჩენ მსოფლიოსთან - 32.7%
- მშპ თითოეულ სულ მოსახლეზე - 15 020 ევრო.
- განახლებადი ენერგიის წილი - 28.1%.
- მინიმალური ანაზღაურება - 840 ევრო.

ხორვატია ევროპული სახსრების ყველაზე დიდი მიმღებია, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ევროკავშირის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ქვეყანაა.

[5] საქართველოს განაცხადი კი დადებითად შეფასდა ევროკავშირისადმი მიმართვიდან 4 თვეში.

3 როგორია ევროკავშირის საბანკო-სასესხო პოლიტიკა

საბანკო გაერთიანება (Banking Union) ევროკავშირის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის გაძლიერების მნიშვნელოვანი მექანიზმია, რაც საშუალებას იძლევა ევროკავშირის საბანკო წესები თანმიმდევრულად გამოიყენონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

ფინანსური სტაბილურობა ფუნდამენტურია ევროკავშირში და იგი გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური ბაზრებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერასა და განვითარებას, არამედ, ფინანსური შოკების ერთად გაძლებასა და ბალანსს. **ევროპული ცენტრალური ბანკი (ECB)** ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია, რომლის ფუნქციებში შედის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რისკის იდენტიფიცირება და რისკების შეფასება.

ევროზონის კომერციული ბანკების მიერ გაცემული უძრავი ქონების შეძენის სესხის პროცენტულობა 2000-2024 წლებში ასე გამოიყურება: ყველაზე მაღალი 6.53% და ყველაზე დაბალი 1.40%.

ევროზონაში ამჟამად შედის ევროკავშირის 27 სახელმწიფოდან 20 ქვეყანა: ბელგია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი. **ევროზონაში არ არიან** ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და შვედეთი (ევროზონაში გაწევრება დაკავშირებულია ევროკავშირის მონეტარული და ეკონომიკური ვალდებულებების შესრულებასთან).€

ქვემოთ მოცემულია ევროზონის ქვეყნებში (მათ შორის, ბოლო გაფართოების CEE ქვეყნებში) უძრავი ქონებისა და სამომხმარებლო სესხების პროცენტული ოდენობა.

უძრავი ქონების სესხის პროცენტი:



სამომხმარებლო სესხის პროცენტი:



რაც შეეხება ბოლო გაფართოების დანარჩენ CEE ქვეყნებს, კერძოდ, ბულგარეთს, ჩეხეთს, უნგრეთს, პოლონეთსა და რუმინეთს, **ისინი საერთო საბანკო ქმედებებისა და ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოში**

მოქმედებენ და ეტაპობრივად ახორციელებენ ევროკავშირის მონეტარულ პოლიტიკასთან დაახლოების პროცესს. ამ ქვეყნებში უძრავი ქონების სესხის განაკვეთები ასე გამოიყურება:

- პოლონეთი - 7.610%.
- რუმინეთი - 8.180%.
- ჩეხეთი - 5.863%
- უნგრეთი - 7.500%
- ბულგარეთი - 4.555%

4 რას ნიშნავს კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის?

ევროპული განვითარების გზა საქართველოს ხალხის არჩევანია. საქართველო ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკას ახორციელებდა უწყვეტად - დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. ეს კურსი არც ერთი ხელისუფლის მხრიდან ცვლილებას/შეჩერებას/შეწყვეტას არ დაქვემდებარებია. ბოლო 30 წლის განმავლობაში, საქართველო ასრულებდა ევროკავშირის რეკომენდაციებს **თვითგანვითარებისა** და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისთვის. ამ რეკომენდაციების განხორციელებისა და რეფორმებისთვის, უშუალოდ **ევროკავშირი გამოყოფდა ფინანსებს (წლიურად არანაკლებ 100 მილიონ ევროს) და გადასცემდა საქართველოს ხელისუფლებას.**

პანდემიის პერიოდში ევროკავშირი საქართველოს დაეხმარა დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარის ოდენობით. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოცულობის დახმარება მსოფლიოს მასშტაბით (მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით). ამით, **ევროკავშირმა გამოხატა მტკიცე სოლიდარობა საქართველოს მიმართ** ამ უპრეცედენტო კრიზისის დროს (როცა თავადაც დიდი გამოწვევებისა და კრიზისის წინაშე იყო).

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, 2022 წლის 3 მარტს, ოფიციალურად, წერილობით და საჯაროდ მიმართა ევროკავშირს საქართველოს ევროკავშირში გაწევრების თხოვნით. ევროკავშირმა, საპასუხოდ, საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი. 2023 წლის დეკემბერს, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო მოექცა

გაფართოების სივრცეში დანარჩენ 9 ქვეყანასთან ერთად. როგორც სხვა ქვეყნების, ასევე, საქართველოს მიმართაც შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების პროგრესის შეფასების საფუძველზე საქართველოსთან დაიწყებოდა გაწევრების მოლაპარაკება.

ზემოთ (სხვადასხვა თავში) მოყვანილი ფაქტები, სტატისტიკა, რიცხვები და დინამიკა, ცხადყოფს, რომ საქართველოსთვისაც ის სარგებელი და სიკეთე იყო დაგეგმილი ევროკავშირის მხრიდან, როგორც სხვა ქვეყნების მიმართ (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ინფრასტრუქტურული, ინკლუზიური, ჰუმანიტარული და სხვა).

რას ნიშნავს კანდიდატობა? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ევროკავშირის მხრიდან საქართველოსადმი ძლიერი (პოლიტიკური, ფინანსური, პროგრამული, ჰუმანიტარული) მხარდაჭერის აღიარება და დახმარება, რამეთუ საქართველოს ხალხმა გამოავლინა ნება მისი ევროპული მომავლისა და განვითარებისადმი. გაფართოებას ბევრი სარგებელი მოაქვს ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის, მათ შორის:

- *პოლიტიკური სტაბილურობა;*
- *მოქალაქეების თავისუფლება იცხოვრონ, ისწავლონ ან იმუშაონ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში;*
- *ვაჭრობის ზრდა ევროკავშირის შიდა ბაზარზე წვდომის გზით;*
- *დაფინანსებისა და ინვესტიციების ზრდა;*
- *სოციალური, გარემოსდაცვითი და სამომხმარებლო სტანდარტების ამაღლება.*

რა უნდა გააკეთოს საქართველომ?

საქართველოს მომავალი ევროკავშირში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის - ცნობილი „9 ნაბიჯის“ შესრულებას უკავშირდება. ამას დაემატა „აგენტების კანონის“ შეუსაბამობა ევროკავშირის ფასეულობებსა და პრინციპებთან. რეკომენდაციების შესრულება გადამწყვეტია იმისთვის, რომ საქართველო გადავიდეს შემდეგ ეტაპზე, რომელიც გაწევრების მოლაპარაკების გახსნაა. **ყველა ნაბიჯი და ეტაპი არის არა ევროკავშირისთვის, არამედ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. ამით, კი საქართველო დაუახლოვდება ევროკავშირის იმ სტანდარტებს, რომლისგანაც ადამიანები უფრო ბედნიერად და კმაყოფილად იგრძნობენ თავს.**

უფლებადამცველთა გაერთიანება
ადამიანის უფლებათა ცენტრი